

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

**შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვისი +“-ის მენეჯმენტსა და მეწილეებს**

„აუდიტ ლუქს სერვისი“-ს (ს/კ 400092760) მიერ (*License # 6/376*) შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვისი +“-ის (შემდეგში კომპანია) (ს/კ 202950226) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

**აუდიტორთა პასუხისმგებლობები**

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ზუღალტრული ადრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ზუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

ვეჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაცემად.

### დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვისი“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დირექტორი  
ლუკა იმერლიძე



აუდიტორი  
ირინე დავრასელიძე

*Handwritten signature of Irina Davraselidze*

